<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 09.10.2018, სარეგისტრაციო კოდი: 430060000.05.001.019178) დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 მუხლი:

„მუხლი 4^1. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა დაცვა

დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების/კოლეჯის საქმიანობის ფარგლებში ან/და იმავე დაწესებულების/კოლეჯის ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი